

საქსენ

5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლის 54-ე წელი, (№ 1495). მარტი. 1977. ფასი 20 კაპიკი.



— რას იქვეები მავ ნაგავში?! ზენი თავის ფასი არ უნდა იცოდე?! —

ნახ. ნ. მალაზონიანი



ამომგზავნი უარში ბ. ფიციანაშვილი

ელგუჯა მალრაქე 50 წლისა

გამოჩენილ ქართველ მწერალს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორს — **ელგუჯა მალრაქეს** — დაბადების 50 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავი შეუსრულდა.

წლების მანძილზე იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი.

2 წელი რედაქტორობდა ჟურნალ „ნიანგს“ და დიდი ამაგი დასდო ქართული სატირისა და ლირის განვითარების საქმეს.

ქართული ლიტერატურის ნამდვილი შენაძნეა ელგუჯა მალრაქის ბიოგრაფიული რომანები გრიგოლ ორბელიანზე („გოვრება“), წიგნები: კონსტანტინე გამსახურდიანზე („გულითა მართლითა“), ლევან გოთუაზე („სრბოლა ცხოვრებისა“), აგრეთვე მისი პირველხარისხიანი თარგმანები, ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები.

დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია მხურვალედ ულოცავს ძვირფას ელგუჯა მალრაქეს სახელოვან იუბილეს და უსურვებს მას დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

გერბოლდ გრამბი

- რაზედ მუშაობთ ახლა? — ჰკითხეს ბატონ ძაბ.
- შემდგომ შეცდომას ვამზადებ.

X X X

ბატონმა ძაბმ თვალი მოჰკრა ცნობილ მსახიობ ქალს და თქვა:

- იგი ლამაზია!
- დიახ, — დამატა მეგობარმა, — ამ რამდენიმე ხნის წინ სილამაზისათვის დიდი წარმატება ხვდა წილად.
- სწორედ მაგათგანა ლამაზი, რომ წარმატება ხვდა წილად! — თქვა ძაბმ.

X X X

მეტი მ თქვა:

- მხოლოდ მაშინ შეიძლება უთანასწორობაზე ლაპარაკი, როდესაც ყველასთვის თანასწორი უფლებებია შექმნილი. როცა ყველას ერთ დონეზე უდგას ფეხი, მაშინ შეიძლება იმის თქმა, თუ ვინ როგორ ამადლდა.

X X X

ქალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ სიფრთხილესთან! — აღამაინა, რომელიც ყოველთვის რეცხავს ალუბალს, გაუფრთხილებლობისაგან შეიძლება ნარეცხი წყალი დალიოს!..

X X X

3063 არ იცის, რა არის სიმართლე, — ის ბრეყვია! ხოლო ვინც იცის და მას სიცრუეს უწოდებს, — იგი ბოროტმოქმედია!

მოაგროვა და თარგმნა სტანისლავ რაზინჩაძე

უზრადღება! — ცხადდება საიუბილეო კონკურსი!

დიდი ოპტიმიზმის სოციალისტური კომპლუციის მისამოცეა ფლისთავთან დაკავშირებით უზრად „ნიანგის“ რედაქცია აცხადებს საიუბილეო კონკურსს საუბეთესო სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებზე (მოთხრობა, ლექსი, კრიტიკული წერილი, ფაბლეტი, გამფლები, იუმორესკა, მინიატურა, სკეტჩი, ნაკვეთი, თემა ნახატი კარიკატურისათვის და ა. შ.)

საკონკურსო ნაწარმოებები უნდა ასახავდეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებებზე საკითხებს და მიმართული უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების წინსვლის შემდგომი ნაკლებობების წინააღმდეგ.

კონკურსის პირობები:

წარმოდგენილ მასალათა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ორი ინტიმალური გადაბეჭდილ სამ გვერდს. იგზავნება 2 ცალად.

კონკურსი დასრულდება და ტარდება დევიზით: ცალკე კონკურსში ჩაიღება ფურცელი, სადაც აღნიშნული იქნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და დევიზი.

დევიზი უნდა დაეწეროს მასალის ორივე ცალსაც.

წარმოდგენილ ნაწარმოებებს განიხილავს კონკურსის შიური — უზრად „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1977 წლის 1 სექტემბერი.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება ნომერის თვეში.

გამარჯვებულთა დაწინაურება უნდა იყოს შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი — 300 მანეთი;

ორი მეორე — 200 მანეთი;

სამი მესამე — 100 მანეთი;

სამი პრემია — თითოეული 50 მანეთი — გაიცემა ნახატი კარიკატურის საუბეთესო თემაზე.

პრემიებზე მასალები დაიბეჭდება „ნიანგის“ საიუბილეო ნომერში და მათ ავტორებს, გარდა პრემიებისა, მიეცემათ კონკურსი ჩვეულებრივი წესით.

„ნიანგში“ დაიბეჭდება ის მასალებიც, რომლებსაც კონკურსის შიური რედაქციის მისცემს გამოსაქვეყნებლად.

საკონკურსოდ არ მიიღება ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნებულია პრესაში, გადაცემულა ტელევიზიითა და რადიოში.

გამოგზავნილი მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ, მათი რეცენზირება არ მოხდება.

მასალები უნდა გამოგზავნოს მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, უზრად „ნიანგის“ რედაქცია, „კონკურსისათვის“.

უზრად „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია

1976 წლის 17 დეკემბერს ილ-62 მარკის უზარმაზარი ფოლადის ფრინველი მოწყდა შერეშეტივოს აეროპორტის ბეტონის ბილიკს და კურსი თბილი ქვეყნებისკენ აიღო.

ასე დაიწყო საქართველოს ოცდაათი ტურისტისაგან შემდგარი ჯგუფის მოგზაურობა მარშრუტით — მოსკოვი-კვიპროსი-საბერძნეთი-იტალია.

რამდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდა ეგოოსის მეტად ლურჯი ფერის ზღვა და ასეთივე ფერის ცა.

კოსმოსიდან კვიპროსის კუნძული ისეთი პატარა მოჩანდა, რომ შეგეშინდა, ჩვენს თვითმფრინავს ზღვისპირა ქალაქის, ლარნაკას აეროპორტის დასაჯდომი ბილიკი არ ეყოფოდა და ზღვაში მოადენდა ტყაპანს.

ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა, ჩვენი თვითმფრინავი ოსტატურად დაეშვა იმ მიწაზე, სადაც საბერძნეთის უძველესი კულტურის აკვანი დაირწა. ამ წერტილში მე არ შევუდგები ხელოვნების განუმეორებელი შედეგების აღწერას და გარჩევას. ეს ყველაფერი თითოეულმა ტურისტმა უნდა ნახოს და თავისებურად აღიქვას! მე მხოლოდ რამდენიმე კურიოზული უმომრისტული მომენტის აღწერას შევეცდები:

კვიპროსის ხალხი და ამინდი ისე თბილად შეგვხვდა, რომ პათოსისკენ მიმავალმა სტუმრებმა გადაწყვიტეთ ზღვაში გვებანა სწორედ იმ ადგილას, სადაც ბერძნული შიშის მიხედვით, ზღვის ქაფიდან დაიბადა აფროდიტე. ვინც თბილისშივე დაიჭირა თადარიგი და საცურაო კოსტუმი წამოიღო, მათთვის ამ სურვილის ასრულება იოლი საქმე გამოდგა, მათ კი, ვისაც საცურაო კოსტუმი არ ჰქონდა, ისტორიული ადგილიდან ცოტა შორს მოუხდა წასვლა, უფრო იმიტომაც, რომ ჩვენი ტურისტების ფოტოაპარატის ფირზე ადამის და ევას სამოსელით არ აღბეჭდილიყვნენ. იმათ გასაგონად, ვისაც ყველაფერი უცხოური მოსწონს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეგეოსის ზღვა მეტად ცივი და მლაშეა. აქაური მეთევზეები თევზს ალბათ არ ამარილებენ. რა შეიღებება აგვისტოში გულრიფვის ზღვას?!

ზღვიდან მობრუნებულმა ნარდის თამაში გავახურე სასტუმროს ფოიეში. მეგრულმა სანარდო ტექნიკამ მიშველა და ბოლო ხელი მარსით მოვიგე. ეს, არ ვიცი, მათ სტუმართმოყვარობას მივაწერო, თუ ჩემს სტრატეგიას. კვიპროსელებში ნარდი ისეთი პოპულარობით სარგებლობს, რომ თვითმფრინავშიც კი ნარდის თამაში მოვიტანო. სტიუარდესამ დიდი ბოდიში მოგვიხადა — „ეს თვითმფრინავი საბერძნეთის კომპანიას ეკუთვნის და ვერაფრით ვერ დაგეხმარებით, რადგანაც ჩვენი ავიოკომპანიის პრეზიდენტმა ნარდის თამაში არ იცისო“.

ისევ უცხოეთის მოყვარულთა გულმოსაკლავად, ათენის აეროპორტში ავტობუსის კარი ჩაიკეტა და ათი წუთის შემდეგ ძლივს გააღეს, ხოლო, აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ასვლის დროს ესკალატორი გაჩერდა. (რა მოხდა? ჩვენთანაც ხომ ხდება ასეთი კურიოზები?!).

საბერძნეთში ბედმა არ გაგვიღიმა, ჩვენი ჩასვლა შობის დღეს დაემთხვა: ყველა მოუხუში და მალაზია დაჰკეტოდა იყო.

თქვენ წარმოიდგინეთ, ათენის წმინდა მალაზიაზე აღმართული აკროპოლის არქიტექტურა.

საბერძნეთიდან იტალიაში „ბონის“ ავიოკომპანიის თვითმფრინავით ვიმგზავრეთ.

იტალიის თითქმის ნახევარი ტერიტორია, ჩემის წვერიდან რომამდე, ზღვის პირით ვიფრინეთ. ცივილიზაციამ ერთი ხელს შემოქმედებათურა ყოველივე ის, რასაც, საუკუნეებში მონადომეს ეგვიპტის, საბერძნეთისა და რომის მბრძანებლებმა. ვინც უზარმაზარ პირამიდებსა და ტაძრებს აშენებდნენ. ვინც ღმერთთან დაახლოებისაკენ მიილტვოდნენ, რათა ამ სიმაღლიდან აღამიანები უფრო პატარები და უსუსურები გამოჩენილიყვნენ. მთელა ეს გიგანტური შრომა წყალში ჩაყრილად მიჩვენდა, როცა სხვადასხვა პროფესიის უსუსურმა აღამიანებმა რომს გადაუფრინეთ და ყველა ნაგებობასთან ერთად ამ სიმაღლიდან კოლიზეუმი საფერფლესავით გამოჩნდა (კოლიზეუმი რა არის, ვეზუვი ჩამქრალი ბუნებრივით მოჩანდა).

იტალიაში ვნახეთ ქალაქები: რომი, ფლორენცია, სენა, პიზა.

ფლორენციაში მე და ჩემს მეგობარ არქიტექტორებს სევდა მოგვერია, რადგანაც ფლორენციაში თავისი რელიეფით, მასშტაბითა და სანაპიროზე გაყოლებული სახლებით, რომელთა ნახევარი წყალში დგას, თბილისი გაგვასხნდა, ძველი თბილისი, პესკათა და მეტეხის უბნით, სადაც უნეკალური ორი პატარა ხიდი იყო გადებული: ერთი — ეგრეთ წოდებული ვირის ხიდი, რომელზედაც მარტო სახეღარი თუ გაივლიდა.

ასეთ უნიკალურ ძველ უბნებს მზგლს მსოფლიოში თვალისწინებით უკვლიან. ამისი მაგალითია პატარა ქალაქი სენა, რომლის ცენტრი ხელუხლებელია დღიდან აშენებისა, ერთი კილომეტრის რადიუსით მანქანების მოძრაობა აკრძალულია.

ყველასათვის ცნობილია, თუ პიზის დახრილი კოშკის გამაგრების რამდენი ასეული პროექტი არსებობს. ამ ქალაქში ჩასვლის დროს მეც მომივიდა აზრად ჩემი პროექტის ვარიანტი, რასაც ვთავაზობ მკითხველს.

ახალ წელს რომში შეგვხვდით. ყველა ქვეყანაში თავისებურად ხვდებიან ახალ წელს. იტალიაში ახალი წლის დამეს ფანჯრებიდან პირდაპირ ქუჩაში ისვრიან ძეგლსა და უვარგისს, ავეჯი იქნება ეს, თუ სხვა რამ. ჩვენს სიმბათიურ გიღს ვკითხვებ:

— „არ შეიძლება, ახალი წლის ღამეს, ქმარმა ძველი ცოლი გადააგდოს?“

— „რატომ არაო?! — მიპასუხა ღიმილით, — მაგრამ, მე მგონი, სჯობია ძველი ქმარი გადააგდოს ცოლმა“.



რომიდან ახალი წლის მეორე დღეს გამოვფრინდით. „ილ-62“-მა კურსი მოსკოვისაკენ აიღო. ჩვენ კამფეტის ვთხოვეთ სტიუარდესს. სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს ბრძანებით, 1977 წლის 1 იანვრიდან თვითმფრინავებში კამფეტები აღარ დარიგდებოთ, გამოგვიცხადა მან. ჩემდა უნებურად გავიფიქრე: საბერძნეთის ავიოკომპანიის პრეზიდენტის ნარდის თამაშისა არ იყოს, ალბათ არც ჩვენს მინისტრს უყვარს-მეთქი ტკბილეული... თვითმფრინავმა მართლაც ისე კარგად აიღო სიმაღლე, წნეგას არავინ შეუწყუხებია. მაშინ კი დაგრწმუნდით აეროფლოტის დადგენილების სისწორეში: კამფეტ ზედმეტი იყო.

ჩვენი თვითმფრინავი ჩრდილოეთისაკენ გაფრინდა. ჩემი თვითმფრინავი ჩრდილოეთისაკენ გაფრინდა.

მე კურსი „ნიანგისაკენ“ ავიღე! მომავალ ტურისტულ შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ, როცა ფეხბურთის მსოფლიო პირველობიდან დაგბრუნდები.

ჩაო, არგენტინიდან ჩამოსვლამდე!

გიგლა ფიცხალაშვილი



ჩვენ იმავე წუთში თავიკი დავეშვით სასტუმროსაკენ. საულის ძლივს მივეუსწართ!.. გზაში ვნატრობდი, ერესთეონის კარიატიდად ვქცეულიყავი, რომ დიდხანს მიცქირა პართენონის ფრიზისათვის, რადგან ვიცოდი, საბერძნეთიდან წამოსვლის დღეს, დღით იყო დაგვიძლი აკროპოლის მთელი კომპლექსის ნახვა, თან რაღაც ერთი საათით.

11-171

ნახ. ბ. ლომიძის

ქართული
ბიზლირთეკა

Индекс 76137




„ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა ინფლაციას განიცდის. იგი განისაზღვრება საშუალოდ 30 პროცენტით“. — ეს ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლათინური ამერიკის საქმეთა ეკონომიური კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში.



გასულ წელთან შედარებით ავსტრიაში ცხოვრება გაძვირდა 7,3 პროცენტით. 16,1 პროცენტით გაიზარდა ბონის ქირა და კომუნალური მომსახურების ღირებულება. 9,1 პროცენტი მოემატა ქალაქის ტრანსპორტს.

ინფლაციის მარჯუხუზი



ვენის ტყის ზღაპრული ფასები